



## სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისის

25 06 2015 წ.

ბრძანება N 2-118

**2014-2015 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის, „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N18/ნ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 11 ივნისის „2014-2015 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდაზე, ექსტერნად რეგისტრაციის ვადის დადგენისა და ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდების ჩატარების ვადის დადგენის შესახებ“ N 564 ბრძანების მე-2 პუნქტის საფუძველზე,

### ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2014-2015 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების განრიგი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების დანტერესებულ პირთათვის გაცნობა;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო  
სკოლის დირექტორი:



*[Handwritten signature]*

/ელზა ბადაშვილი/